№ 140

კვირა, 3 ივლისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 140

კვირა, 3 ივლისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ი ვ ე რ ი ა“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატუსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакцiя „ИВЕРIА“.

ქართული თეატრი
ოშაბათს, 4 ივლისს
მიხეილის ბაღში
ქართულის დრამატიულის დასის სუფლიორი კოლა გაჰმართავს წარმოდგენას

I
**ხოლვერობა**
ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი

II
**მონადირე**
ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი

III
მესამე მოქმედება ცაგრლის დრამიდამ
**მ ა თ ი კ ო**
ოსეფას როლს შეასრულებს
**სუფლ. კოლა**
დასაწყისი 9 საათზედ
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. რჩეულოვისა, ნიკოლაშვილისა (პირველი დებიუტი). ბ.ბ. საფაროვი, ადამიძე, მჭედლიშვილი, ნასიძე, თამაზიშვილი, კოლა და სხვა.

## ტფილისი, 3 ივლისს

წელს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა კრებამ ერთხმად მიიღო თავადის გიორგი თუმანიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ მარშლებმა იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რათა ტფილისის გუბერნიასაც მიენიჭოს ერობის უფლება, რომელიც რუსეთის შიდა ქვეყნებში დიდი ხანია არსებობს.

მაგრამ თავად-აზნაურთა კრებამ საჭიროდ სცნო, რომ სანამდის ამ ამ გვარის თხოვნით მიჰმართავდნენ მთავრობას, ჯერ დანიშნულ იქნას კომისია, რომელიც საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლიდა ამ საგანს და დაასაბუთებდა ერობის შემოღების საჭიროებას ჩვენში. კომისია ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად უკვე დაარსდა, რომელშიც თითონ ავტორი ზემოხსენებულის წინადადებისა თავადი თუმანიშვილი არის მიწვეული.

ჩვენ ახლა არ შევუდგებით იმის გამოკვლევას, თუ რამდენად საჭირო არის ერობის შემოღება საქართველოში, რადგანაც ეს საჭიროება ჩინებულად აღნიშნა თითონ თავად-აზნაურთა კრებამ, რომელმაც ერთხმად აღიარა თავადის თუმანიშვილის აზრი.

არას ვიტყვით იმის შესახებაც, თუ რა არის თითონ ეგ ერობა, რადგან ჩვენს გაზეთში ხშირად ყოფილა საუბარი ამ საგნის შესახებ.

სიკეთე დაწესებულებისა, რომელიც ნებას აძლევს მკვიდრთ თავისი შინაური საქმეები თითონვე განაგონ, ცხადია. მოხელემ, რომელიც დღეს ერობის მაგიერობას ასრულებს, ხშირად არ იცის, არც წარსული და არც აწმყო ვითარება იმ ხალხისა, რომელიც მას ჩაბარებული ჰყავს და, სამწუხაროდ, ასპარეზი მოღვაწეობისა ასეთის მზრუნველისმთვის სრულიად მოცულია სიძნელით; მაგრამ არსებული წესი მაინც ავალებს, რომ ქვეყნის ყოველს წვრილმან რასმეში ჩაერიოს.

ამ გვარი შეუფერებელი ვალდებულება უეჭველია საქმეს ჰრევს, და ჭეშმარიტი საჭიროება ხალხის დაუკმაყოფილებელი რჩება, მაშინ როდესაც სრულიად უსარგებლო და უქმ საქმისათვის დიდი შრომა და საშუალება იხარჯება.

აი, ამ დროს გადასულ წესის ცვლილებას მოასწავებს ერობის შემოღება და ქვეყანა დიდი მადლობელი უნდა იყოს თავადის გიორგი თუმანიშვილისა, რომ მან დიახ იმ დროს აღძრა ამ საგნის შესახებ ლაპარაკი, როდესაც მთავრობას მრავალი საბუთი აქვს შეიწყნაროს თავად-აზნაურობის თხოვნა. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ერთი მხოლოდ წლევანდელი საბანკო კრებების ჩინებული წესიერება და თითოეულის საქმის საფუძვლიანი გარჩევა საზოგადოების მიერ კმარა იმის საბუთად, რომ ის ქვეყანა, სადაც ასეთი კრებები შესაძლებელია, საკმაოდ მომწიფებულა. არა თუ ერობის მისანიჭებლად, არემედ უფრო დიდის უფლებისათვისაც.

ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ მთავრობა არ უგულებელს ჰყოფს თავად - აზნაურთა მეცადინეობას; იმედი გვაქვს მეტადრე იმისთვის, რომ ერობის შემოღება ჩვენში შეუმსუბუქებს მთავრობას ზრუნვასა და ჯაფას, რაიცა ახლა მრავალის მიზეზების გამო ფუჭად იხნევა და იკარგება. მაგრამ სანატრელია, რომ მთავრობის წინაშე წარმდგარიყოს კრებისაგან აღიარებული საჭიროება ერობისა სრულად და დასაბუთებლად; სასურველია, რომ ეს გადაწყვეტილება ჩვენის ქვეყნის უმაღლესის წოდებისა არ დამსგავსებოდეს იმ დღე - ნაკლულ ყრმას, რომელსაც სასიცოცხლო პირი არა აქვს...

ამ ოცის წლის განმავლობაში ჩვენ მრავალის კომისიის დაარსებას დავსწრებივართ სხვა-და-სხვა აზრის შესამუშავებლად, მაგრამ გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ქართულ კომისიებს ძვირად მოდის დუშაში და მრავალი ის საგანები, რომლისთვისაც ყოფილა არჩეული კომისიები, დღესც ხელუხლებლად არის და რჩენილი.

ვიქონიოთ იმედი, რომ ამ ჟამად შემდგარი კომისია თავადის თუმანიშვილის წინადადების შესამუშავებლად ასცდება წინანდელ კომისიების ბედს და საზოგადოებისაგან მინდობილს ესოდენ ფრიად სასიკეთო საქმეს სახელოვანად დაამთავრებს. შემდეგი ამ საქმისა დამოკიდებულია ხელმწიფის უმაღლესის ნებისაგან, რომელსაც საქართველოს საჭიროების შესახებაც, უეჭველია, ისე მესტკივა გული, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის, სადაც ერობის უფლება დიდი ხანია ნაბოძები აქვს რუსის ხალხს.

მეველე

## დეპეშა

1 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ შეიცვალოს სამხედრო კონსტანტინეს სასწავლებელი მომავალ სამოსწავლო წლისათვის, საარტილერიო უწყების სპეციალ სასწავლებლად გაკეთდეს და ეწოდოს „კონსტანტინეს საარტილერიო სასწავლებელი“.

**პარიზი.** გუშინ ტულონში დააპატიმრეს სამი კაცი, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ ცეცხლი წაეკიდებინათ ჯავშნიანის ხომალდის „Cârnot“-ისათვის.

**ჩიკაგო.** პირ-შეკრულობა მუშაობის ალთქმის შესახებ გაუქმდა

**ლონდონი** დიდ სახელმწიფოთა კონფერენციაზედ, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა იმის შესახებ, რომ კორეის ნავთ-სადგურები, ხელშეკრულობაში აღნიშნულნი, ხელშეუხებლად და დამოუკიდებლად

## ფელეტონი

### უკანასკნელი ვარდი

(ტომას მურისა)

უკანასკნელი ვარდი, სევდით გარემოცული,
მწვანე ფოთლებში ნაზადა ირთის, მათ შიგ ჰმალავს თავს,
და სუნნელება მისი ოდნავ გავრცელებული
გულს მოაგონებს უკანასკნელს სიყვარულის ხმას.

—

დილის ცვრისაგან ცრემლიანი, მარტოდ შთენილი,
ირგვლივ სამარეთ ნაღვლიანად იგი დაჰყურებს
და როს დაჰხედავს კარსკვლავებით ცა მოჭედილი,
სტირს, რომ მეგობართ გულის პასუხს ვერ უნაწილებს.

—

მისი სიცოცხლე უნუგეშო, ობლად შთენილი,
ჰსახავს იმავე საიქიოს და სამარეს ბნელს...
საბრალო ვარდო! რადგანაც გსურს, მოდი გიშველი:
მყის განგაშორებ მაგ მწვანე რტოს, შენსავე მშობელს.

—

ალის ფერ ფურცლებს სულ-ცალ-ცალკე მოვაცლი მე შენ;
უკანასკნელად დავყნოსავ მათს სუნს, მალ-მილებულს,
და იქ, სად შენი მეგობრები განისვენებენ,
იქ მოგაბნევ და შენის ფურცლით მოვრთავ იმათს გულს.

—

თუ სიცოცხლეში სამეგობროს ვერ ჰპოებ შველას,
არც გაქვს იმედი, რომ განთიადს კვლავ მოესწრები,
სჯობს გულს თამამად უთხრა: გულო! ნუ აგრძობ მგერას,
კმარა, საბრალოვ!.. ბარემ მოკვდი, რას ელოდები!..

გრ. აბაშიძე

### ეხლანდელი ინგლისელი დედაკაცი.

II

რაკი შუათანა განათლებულ საზოგადოების ყმაწვილი გასათხოვარი ქალი თავისუფალია და დამოუკიდებელი თავის საკუთარს ოჯახში, საცა ყველა სიყვარულით ექცევა, ამიტომ ასევე თავისუფლადა და დამოუკიდებლად ჰგრძნობს თავს სკოლაშიც, საზოგადო კრებაზედაც, ქუჩაშიაც. ყველას, ვინც-კი მოდის აქ ევროპიდამ, ძალა-უნებურად უკვირს, როცა ჰხედავს ჯგუფ-ჯგუფად ყმაწვილს ქალებს, რომელთაც თმა-გაშლილი აქვთ, გულ-წრფელობით სავსე შეხედულებისანი არიან, აცვიათ ყოვლად სადა და ჯანისათვის მარგებელი ტანისამოსი; არც კორსეტი და არც სხვა რამ ამისთანა ადამიანის შემხუთველი ჩასაცმელი და კუთვნილება ქალის ტანისამოსისა! ამისთანა ყმაწვილის ქალებით არის სავსე აქაური ბაღები, სასეირნო ადგილები, ჩრდილები, მწვანიანები, სადაც გასათხოვარნი გატაცებით თამაშობენ კრიკეტსა და ლოონ-ტენისსა*). იმათი თამაში, გაბედული მიხვრა-მოხვრა, სიხარული და გულიანი სიცილ-კისკისი გულში ლახვარივითა ჰხვდება ევროპიდამ მოსულს, პრანჭია-გრეხას ჩვეულს მანდილოსანს. „ეს რა უბედურებაა, ასე ჰკონია ადამიანს, შარანტონიდამ არიან გამოვარდნილები (ვითომ საგიჟეთიდამ), სთქვა ერთხელ ჩემთან ერთმა ფრანგთა მანდილოსანმა... რასა ჰგავს ეგ მაგათი გაშლილი თმები, ეგ სირბილი, ეგ ხტუნაობაო! ან ეგ მაგოდენა ტატყი ფეხები და ზედ უქუსლო ფეხ-საცმელები რაღა ღვთისრისხვააო!.. ახლაკი მეყურება, რად არიან ინგლისელი ქალები ისე ტლანქნი, მოუხეშავნი, შნოსა და ლაზათს, სინარნარეს მოკლებულნი!..“ ვისმენდი ამ ქალის ლაღადისსა და უნებურად მაგონდება ის გარემოება, რომ, ბროკას გამოკვლევით, თავის ქალა პარიზელის მანდილოსანისა,—ამ მოდისა და სადარბაზ-საბულვარო მართებულობის კანონმდებლისა—განვითარების ყოვლად უქვენაესი ტიპია მთელს ევროპაში... მ გონდება ემილ გოტიეს სიტყვებიცა ინგლისელ მანდილოსანთა სილამაზესა და ნარნარების, შნო-ლაზათის შესახებაც: „თუ ინგლისელი ლამაზია, იმას ცალი და ბადალი აღარ ეყოლებაო“. გამახსენდა ლუი-ბლანიცა იმ მრავალ სხვა განათლებულ დევნილებთან ერთად, რომელთაც ინგლისელი ქალები შეირთეს და ამისათვის თავიანთს ბედს ემადრიელებოდნენ გულ-წრფელად: იმათმა ცოლებმა, თავიანთ სამშობლო ქვეყნის ზნე-ჩვეულების მიხედულებისამებრ, გაუჩინეს თავიანთ ქმრებს ის მოყვარული ოჯახი ჭეშმარიტის ბედნიერებისა და გამრჯელობისა, მზრუნველობისა, სიმართლისა და თანასწორობისა, რომლისთანასაც ვერსად ვერ იპოვით, სანთლითაც რომ ეძებოთ საფრანგეთის განათლებულ საზოგადოებაში.

როგორც ვიცით, ინგლისში არ არსებობს ოფიციალური სისტემა აღზრდა-განათლებისა და ის, რაც ევროპაში ექვემდებარება მტკიცედ აგებულს სწავლა-განათლების სამინისტროს ერთფეროვნებასა და ერთ-გვარობას, აქ მიჩემებული აქვს ქ ლაქებისა, კერძო საზოგადოებათა და ცალკე კაცთა თავისუფალ თაოსნობას. მთავრობას უფლება აქვს თვალ-ყური უგდოს საზოგადო და საერო სკოლებს, პარლამენტი იძლევა სასკოლო საქმესა და სასკოლო ინსპექციისათვის მცი-

*) ლოონ-ტენისს უძახიან ერთს გვარს ბურთაობას.

იყოს განცალკევებულიო, იაპონიის ელჩმა განაცხადა, რომ ამ წინადადების თანახმა ვარ ჩემულპოს შესახებ. დანარჩენ ნავთ-სადგურების გამო-კი განკარგულებას მოველი ტოკიოდგანაო, მეფე იაპონიის სურვილს დამორჩილდა და სამი კომისარი დანიშნა იმის შესასწავლად, თუ როგორ უნდა გადაკეთდეს ქვეყნის მმართვა-გამგეობის საქმე. იაპონიის მიერ დადგენილის პირობით ჩემულპოს ნეიტრალად ყოფნის შესახებ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იაპონია უარს ამბობს, ჩემს ჯარებს არ გავიყვან ამ ქვეყნიდგან და სამხედრო საქმეში თავისუფლად ვიმოქმედებო. ლორდმა კიმბერლეიმ დიდბრიტანიის სახელით განაცხადა, რომ იაპონიასა და ჩინეთს შორის ამტყდარი უთანხმოება სამედიატორო სამართლით გადავწყვიტოთო. იაპონია დასთანხმდა ამ წინადადებას.

# ახალი ამბავი

*** მოგვყავს ნუსხა იმ პირთა, რომელნიც ხომალდ „ვლადიმირზედ“ იყვნენ და ხომალდმა „სინეუსმა“ გადაარჩინა დაღუპვისაგან: ივანე შეკალეი, ლუილაპსიონი, პოდპორუჩიკი არკადი სლოჟენსკი, პოდპორუჩ. დიმიტრი ფონ-გროგე-დე-ბუკო, ბრონისლავ ზდანკევიჩი, აზნაური ავგუსტ შულცი, მ. დუნაევსკისა, ელისაბედ ტუმაევი, კონსტანტინე ტუმაევი, ელისაბედ გუკინსკისა, აზ. ალექსანდრე სუხაჩევსკი, ფოსტალიონი თევდორე ვასილიევი, ნიკოლოოზ გრეკოვი, ტროფიმე სუხორუკოვი, პ. ბურზაკოვსკი, ს. შაპოშნიკოვი, ი. მაჩუნი, შ. პუსამე, იბრაგიმ ხანი, პორუჩიკი ნ. ბურდუკოვი, ლ. ზიგალენკო, ფ. კამენსკი, სტანისლავ რუგალინსკი, მაქსიმე პონომარიოვი, მამედ-ოზოეზ, ვლადიმირ ვეტჩინკინი. ბრალმდებლის ამხ ნაგი კ. შმიდტი, ნატალია ჩერნიავსკაია, ნ. სტეფანოვი, ავგუსტინა შვარცმანი, ანნა კაცი, ი. კაცი, იპოლიტე შარანიცკი, კლავდია გარტნერი, ვიქტორ დირდლოვსკი, კოჰენის ციხის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი გ. ი. ბარანოვსკი, ლეოპოლდ პერელმანი და მიხეილ გალონცევი.

როგორც გვაუწყებენ, იტალიის ხომალდის „კოლუმბიას“ უფროსი უკვე დაუპატიმრებიათ.

*** 1 ივლისს ტფილისის პოლიცმეისტრის გამგეობაში დანიშნული იყო არჩევანი მტკვრის მარჯვენა ნაპირის მირაბისა, 3 საბჭოს წევრისა და მათი კანდიდატებისა, 65 ბაღის პატრონი დაესწრო კრებას, რომელთა შორის ბოლომდის მხოლოდ 59 კაცი დარჩა. მირაბად არჩეულ იქმნა პოდპოლკ. მ. საკოვი (45 თ. 14 შ.), იმის კანდიდატად—გენ.-მ. თავ. არს. ბებუთაშვილი (42 თ. 17 შ.); საბჭოს წევრად არჩეულ იქმნა უკენ-ჰოდ 1-ლ ვერის და სოლოლაკის განყოფ.—ვ. ნაზარბეგოვი და მის კანდიდატად—გ. ნუგზაროვი; 2-რე ორთაჭალის და ნათლულის განყოფ.—თანაშემწე მომრიგებელ-მოსამართლისა ი. ს. ალიხანოვი და კანდიდატად—დ. ს. ს. ი. ა. კუკუჯანოვი; მე-3 კრწანისის განყოფ.—ა. ე. ბაისოლოლოვი და იმის კანდიდატად—ეგ. მირზოევი.

*** ქიზიყი: ივნისის 2-ს საათის ცხრის ნახევარზედ, შებინდებისას, დასავლეთიდამ ელექტრონის მზესავით გამოიკლაკნა ცა-მოწმენდილზედ კაი სიდიდის მეტეორი და აღმოსავლეთის ტატნობს რომ მიუახლოვდა, უანგარიშო ნაპერწკლებად გარდაიქცა და თან მოჰყვა კიდეც ხანგრძლივი გრგვინვა-გუგუნი. მეტეორმა ისე ძლიერად გაანათა შორით-შორამდე გადაჭიმული ქიზიყი, როგორც ელექტრონის მზე ანათებს რომელსამე პატარა ადგილს. მეორე დღეს ხალხი იძახდა: „წუხელ ცა გაიხსნა და სამოთხის ნათელმა ჩამოაშუქაო; ოც წელიწადში ავგრე ერთხელ გაიხსნება-ყე ცა ღვთის ბრძანებით, და, ახ, ნეტავი იმის დედას, ვინც-კი მაშინვე მოასწრობს და ინატრებს რასმეო“ და სხვანი.

ქვემო-ქიზიყში მოდებულია ოთხფეხ საქონლის ავადმყოფობა: თურქული, პირის ტკივილი და ფილარათობა, მაგრამ ჯეროვანს ყურადღებას არავინ აქცევს.

*** სოფ. მეჯრუხევი: 29 ივნისს სოფელ მეჯრუხევში სცენის მოყვარე ახალგაზდობამ გამართა წარმოდგენა სკოლის დარბაზში. წარმოადგინეს: „ბაიყუში“ ა. ცაგარლისა და ვოდევილები ვ. გუნიასი „მონადირე“ და „რაც არ მერგება, არ შემერგება“. სამივე პიესამ რიგიანად ჩაიარა. ახალგაზდობა სცდილიყო როლების შესწავლას. სცენაც, როგორც სოფლის ავეჯი-დიდებას შეეფერება, საკმაოდ იყო მოწყობილი. საზოგადოება მხურვალედ მოეკიდა წარმოდგენას. კვლავ, თუმცა უფრო გამოცდილ მოთამაშეთ მიუღიათ მონაწილეობა, მაგრამ ამოდენა ფასი არ აუღიათ. შემოსავალი იყო ხუთი თუმანი და ოთხ მანეთ ნახევარი, ხარჯ-გარეთ დარჩენილი ფული ხუთი თუმანი და სამი მანეთი გადაიდო ადგილობრივ წიგნთ სამკითველოს სასარგებლოდ. წიგნთ სამკითხველოსათვის გადადებულია აგრეთვე ხოლერის შემდეგ დარჩენილა ცხრა თუმან ნახევარი.

*** როგორც გაზ. „Кавказъ“ ამბობს, ამ დღეებში სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში წაიკითხავს დიდად საინტერესო ლექციას კიევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი აღმოსავლეთის და კავკასიის ისტორიისა და ეტნოგრაფიისა ა. ნ. გრენი. ლექცია უმთავრესად თამარ მეფის დროს შეეხება. მოგვყავს მოკლე პროგრამა ლექციისა: „წყარონი თამარ მეფის ისტორიისა. გეოგრაფიული აღწერა ქვეყნისა. საქართველო თამარ მეფის გამეფებამდე. უთანხმოება და აურზაური თამარის მეფობის დასაწყისს, სომეხთა და პოლოვცელთაგან გამოწვეული. პირველი ქმარი თამარისა და მისი შთამომავლობა, მეორე ქმარი თამარისა. თამარის ბრძოლანი და გამარჯვებანი. პოლიტიკური და შინაური მდგომარეობა სახელმწიფოსი. რაინდობა და ლიტერატურა საქართველოში.

ნაწილი ამ საღამოს შემოსავლისა დანიშნულია ტფილისის პირველ გიმნაზიის მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების საშუალების გასაძლიერებლად. თვით ლექტორს ამ გიმნაზიაში აქვს სწავლა დამთავრებული. ბ-ნი გრენი ცნობილია ტფილისში, სადაც იგი ამ რამდენისამე წლის წინად სახალხო სკოლების ინსპექტორად იყო.

*** გაზ. „Т. Л.“ გვაცნობებს, რომ დამტკიცებულ იქმნენო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან არჩეულნი, თავისს თანამდებობაში 3 წლით 1894 წლიდგან მაზრის წინამძღოლებად: ტფილისისა—სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი თ. ევგენი ბებუთაშვილი, თელავისა—სამსახურს გარეშე მყოფი გენერალ-მაიორი თავ. დიმიტრი მაყაშვილი, სიღნაღისა—კამერ-იუნკერი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა კოლეჟ. სეკრ. თავ. ივანე ანდრონიკაშვილი, დუშეთისა—პრაპორშჩიკი მილიციისა თავადი ლევან ბაგრატიონ-მუხრანსკი და ბორჩალოსი—როტმისტრი რაჰიმ-ბეგ ედიგაროვი; დეპუტატთა საკრებულოს დეპუტატებად: ტფილისის მაზრისა—კოლეჟ. სოვ. მიხეილ ისარლოვი, თელავისა—სამსახურ გარეშე მყოფი მაიორი თავ. ზაქრია ჯაფარიძე, სიღნაღისა—სამსახურს გარეშე მყოფი გუბერ. სეკრ. თავ. ზაქარია ანდრონიკაშვილი, დუშეთისა—სტატს. სოვეტ. ალექსანდრე სავანელი და ბორჩალოსი—გუბერ. სეკრ. იოსებ შანშიაშვილი; დეპუტატთა საკრებულოს მდივნად—კოლეჟ. სეკრ. ზურაბ ასლამაზოვი.

*** დუელის შესახებ ახლად დადგენილის კანონით პირველად დარუბანდში უხელმძღვანელიათ. როგორც გაზ. „Каспій“ გვაცნობებს, ორ აფიცერს დარუბანდში მყოფ ბატალიონისას ჩხუბი მოუვიდათ თურმე და ერთმა მეორეს ხელიც შეახო. ამის გამო შემდგარმა კრებამ აფიცრებისამ 24 ივნისს დაადგინა: შეურაცხებულმა გამოიწვიოს დუელში მისი შეურაცხმყოფელიო. იმავე 24 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, დუელი მოხდა და ორის მოწმეს თანადასწრებით, რომელნიც აფიცართა სასაზოგადოების მიერ იყვნენ ამორჩეულნი, დამბაჩებით იბრძოლეს. ერთმა მებრძოლმა მეორე ხელში დასჭრა; ექიმის აზრით, ძალიან სუბუქი ჭრილობაა. დუელის შემდეგ ჭრილობა შეუხვიეს, საქალაქო ბაღში წავიდნენ, კლუბში შევიდნენ და სიხარულით ლუდის სმა დაიწყეს.

*** ამავე გაზეთის სიტყვით ქ. შუშას მცხოვრებელნი მოუთმენლად მოელიან შუშას, მაზრის უფროსად ახლად დანიშნულს თავ. აბხაზს, რომელიც ცნობილია კარგ ადმინისტრატორად. როდესაც ბორჩალოს მაზრის უფროსად იყო, თითქმის სრულიად ფეხი შეუკრა ავაზაკობას და დიდად შეუწყო ხელი შულავერის კეთილ-მდგომარეობას. ბორჩალოს მაზრის უფროსი შულავერში სცხოვრებს. შუშა სხვა ქალაქებზედ უმეტესად საჭიროებს კეთილ-განწყობილებას; ქალაქს შემოსავალი იმდენი აქვს, რომ ყოველთვის კარგად შეუძლიან დაჰფაროს თვისი ხარჯი, საჭიროა მხოლოდ კარგი ადმინისტრატორი, რომ მხნედ მოჰკიდოს ხელი ამ ქალაქის საქმეს, რის შესრულებაც სწორედ თავ. აბხაზს შეუძლიანო.

*** ივლისის პირველს საღამოს 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში ჩხუბი მოუვიდათ სომეხთა სკოლის მასწავლებელთ და სიმონ ოვიანცმა, სედრაკ მარანჯიანცმა და ლას ოვიანცმა ჯოხითა სცემეს მასწავლებელს პეტრუს მელქონიანცს დაშავებულს სწამლობენ. დამნაშავენი პასუხის გებაში არიან მიცემულნი.

# დამაკვირდი

გენიოსობა დიდი ნიჭია უოკელისავე სტანისა.

ბუფონი

**

უოკელთვის ცუდი მეზობელი იქნება ის კაცი, რომელსაც დიდებული აზრები აქვს.

მარია ებნერ-ეშენბახი

**

დიდის, არა ჩვეულებრივის ღვაწლის უნამდვილესი ნიშანი ის არის, როდესაც თვით უზოროტესნი მოშურნენიც-კი

---

რეოდენს ფულს—9.200,000 მან., საზოგადოდ-კი საეროვნო აღზრდა-განათლება სრულიად თავისუფალ უნივერსიტეტებს და მრავალს შუათანა სასწავლებელს—იტონისას, პაროუსის და სხვებს—თავისი საკუთარი ღონისძიება აქვთ და გამგეობა მათი სრულიად დამოუკიდებელია. ბევრია ისეთი უმაღლესი და შუათანა სასწავლებლები, რომელიც დაარსებულია კერძო კაცთა და, ასე გასინჯეთ, კამპანიების მიერაც-კი. ერთი საუკეთესო დედათა სკოლა ლონდონში—Comden town School-ი კერძო კამპანიის დაარსებულია და მისი სრული საკუთრებაა.

რაკი ერთ-ფეროვნებასა და რეგლამენტაციას აშორებულია ინგლისური სკოლა, ამიტომ მის ბუნებას აჩნევია ეროვნული ხასიათი და ზედ აზის ბეჭედი ამა თუ იმ დრო-ჟამის განვითარების ხარისხისა. აქ თავის დღეში ვერ მოხდება ის, რაც ისე ხშირად მომხდარა საფრანგეთში: გამოცვლილა მთავრობა და შეცვლილა სწავლა-აღზრდის სისტემაცა სკოლებში, კლერიკალიზმისა და ბონაპარტიზმის რეაქციის შემდეგ მიუმართავთ რაციონალიზმისათვის სწავლა-განათლების საქმეში, ან არა და ისევ უკუღმა დატრიალებულა საქმე აღზრდისა და სწავლებისა. ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ საფრანგეთის აღზრდა-სწავლის სისტემა სჯობს ინგლისისასაო, მაგრამ მე-კი,—იქნება ვცოდავდე ღვთისა და კაცის წინაშე,—სულითა და გულით მომხრე ვარ თვით მოქმედებისა და საზოგადოებურის თაოსნობისა. იქ, სადაც სიბრიყვე, უმეცრება, ცრუ-მორწმუნეობა სუფევს საზოგადოებაში, ვერავითარი ლიბერალური და კაცთ-მოყვარული რეგლამენტაცია ვერ აღზრდის განათლებულსა და წარმატების გზაზედ დამდგარს თაობას და ჟამსა რეაქციისასა, უკან დახევისასა, როგორც არა ერთხელ მომხდარა გერმანიასა და საფრანგეთში, რეგლამენტაციასა და ერთ-გვარობა-ერთ-ფეროვნებას დაუუძლურებია ყოველი კეთილი სურვილი და მისწრაფება თვით საზოგადოებისა, მოუკლავს და დაუთრგუნავს კერძო თაოსნობა თითოეულთაცა და ამხანაგობა ასოციაციებისაცა.

სულ სხვასა ვხედავთ ინგლისსა და შეერთებულ შტატებში. კერძო კაცთა, ჯგუფთა, ასოციაციათა და კორპორაციათა თაოსნობამ შეჰქმნა მათი მაღალის ხარისხის კულტურა და ეს ინგლო-საქსონელთა სახელმწიფონი გაჰხადა მთელის ეხლანდელის კაცობრიობისა. უნდა ჰნახოთ იმათი მილიონებად დამჯდარი სამკურნალოქსენონები, სამაგალითო და უზარმაზარი სკოლები, საზოოლოგიო ბაღები, პარკები და სკვერები, ბიბლიოთეკები, უნივერსიტეტები, დაბადებული და გაჩენილი კერძო კაცთა მეოხებით, ძალ-დაუტანელ ხელის მოწერით შეკრებილ ფულის წყალობით... და მაშინ მიხვდებით, რად აფასებენ ისე ძვირად და რად ებლაუჭებიან ისეთის გულ-მოდგინებით პრინციპს თავისუფალის თაოსნობისასა და მთავრობის ჩაურევნელობისასა ქვეყნის საქმეებში; მაშინ მიხვდებით, რადა ცდილობენ, რომ სახლშიაც და სკოლაშიაც განავითარონ ხასიათი თითოეულის ყმაწვილისა, მიაჩვიონ ყრმობით ადამიანი დამოუკიდებელს ფიქრსა და მსჯელობას და მედგარს, შეუწყვეტელს და მუდამ დამოუკიდებელს გარჯა-მხნეობას. აქაურს სკოლებში სცდილობენ უპირველესს ყოვლისა ორი ნიჭი და უნარი განავითარონ: უნარი გარჯა-მხნეობისა და ფიქრი მსჯელობისა დამოუკიდებლად. სიმართლე გვაიძულებს ვსთქვათ, რომ კიდევაც ადვილად ახერხებენ ამას ინგლისელები: ინგლისელთა თავისებურობა და დამოუკიდებლობა, იმათი უნარი თავის შეკავებისა და აღუშფოთველობისა, რომელიც ხშირად სისულელესა და სიტუტუცედ ეჩვენება ადამიანს, ანდაზად არის გამხდარი, ხოლო რაიცა შეეხება ჩაცივებულს, მედგარ შრომას, შეურყეველს მხნეობას, ამის უკეთესი მაგალითებია აღყვავებული ავსტრალია, კაპის ახალშენები, კანადა და თვით შეერთებული შტატები...

ამას უნდა დავურთოთ ზედ ერთი საზოგადო ხასიათი ინგლისელებისა, რომელიც ერთნაირად ემჩნევა ყველას წოდების განურჩევლად. ეს ხასიათია საკვირველი სიყვარული სიმართლისა, მართლის თქმისა. მდიდარიცა და ღარიბიც, ყოვლად-ძლიერი სახელმწიფო მოღვაწეცა და უკანასკნელი ლატაკიც, რომელსაც იქნება ქოხიც არ აბადია ლონდონის „შავ უბანში“, ერთნაირად მართლის მთქმელნი არიან, ერთნაირად ძვირად აფასებენ თავიანთ სიტყვას. ინგლისელები საზოგადოდ თავ-დაჭერილი ხალხია და ცოტას ლაპარაკობენ, ხოლო იტალიელებთანა, ფრანგებთანა და საზოგადოდ სამხრეთის მკვიდრთან შედარებით, თითქმის თევზნი არიან, ისე ცოტას ლაპარაკობენ. გარნა როცა ახლო გაიცნობთ, მიხვდებით, რომ იმათი მოკლედ მოჭრილი სიტყვა სავსეა აზრით, სიმართლით, იუმორით. შემეძლო მრავალი მაგალითი მომეყვანა, ისტორიულიცა, საზნე ჩვეულებოცა, რომელიც დაამტკიცებდა იმას, თუ რა ზომამდე მართლის მოყვარულნი და პირში-მთქმელნი არიან ინგლისელნი; ემერსონსა და სხვა ამისთანა ავტორებს ბლომად აქვთ შეგროვილი ამისთანა მაგალითები, მაგრამ ვიკმარებ მხოლოდ ორს, რომელიც მე თვითონ მინახავს და კარგადაც ვიცი.

ერთს 1 მაისის მიტინგზედ, რომელზედაც სამასი ათასი კაცი დაესწრო, ვილაც აბრანძულ-დაბრანძულ, მანიფესტაციაში არავითარის მონაწილეობის მიმღებთ, შეურაცხჰყვეს რამდენიმე გამყიდველნი მუშათა გაზეთ-ჟურნალებისა; ამ დროს შეესწრო იქ პოლიციის კომისარი და დაუყოვნებლივ არ დაიცვა, არ გადაეფაფრა იმ გამყიდველთ. ერთმა ჩემმა ნაცნობმა მანდილოსანმა, აღშფოთებულმა ვი-

იმედებულ არიან ამ დვაწლი სქებასა და დიდებას.

ლაროშფუკო

## ნაციონალური გრძნობა *)

ცნობილმა და გამოჩენილმა კრიტიკოსმა გიორგი ბრანდესმა წარმოსთქვა ამ წლის დამდეგს შესანიშნავი სიტყვა, რომელსაც დაარქვა სახელად ნაციონალური გრძნობა. რამდენადაც ვიცით ამ სიტყვის შინაარსი, რომელიც ეხლახან გერმანულად დაიბეჭდა, ჯერ არც ქართულად და არც რუსულად არ ყოფილა მოყვანილი. რა არის ნაცია ანუ ერი, ამაზედ ჩვენს მწერლობაში რამდენჯერმე ყოფილა ბაასი. მკითხველს ეხსომება საყურადღებო წერილი ილ. ჭავჭავაძისა, დაბეჭდილი ჯერ ისევ ჟურნალ „ივერიაში“, ბათუმის მხრის შემოერთების გამო და იმავე დროს წარმოთქმული ფრანგულად სტუდენტების წინაშე სიტყვა რენანისა და გადმოღებული იმავე „ივერიაში“ ქართულად. ბრანდესის წიგნი პასუხს არ იძლევა იმ საკითხავებზედ, რომელნიც ილ. ჭავჭავაძის და რენანის მიერ იყვნენ აღძრულნი. დანიის მეცნიერს და ლიტერატორს სულ სხვა საგანი აქვს აღებული.

პირველს თებერვალს კოპენჰაგენში აკურთხეს თავისუფალ მოაზრეთა სტუდენტების ამხანაგობის ახალი სადგური. ამ დღესასწაულს დაესწრო ბრანდესიც და მიჰმართა ყმაწვილკაცობას გრძნობიერის სიტყვით. როცა 1866 წელს ბრანდესი პირველად გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, იმ დროს სკანდინავიაში ახალი აზროვნობის მოძრაობა დაიწყო. ბრანდესი მიემხრო ამ მოძრაობას და 28 წლის განმავლობაში უნერგავდა მოზარდ თაობას და მკითხველებს მამულის სიყვარულს. სკანდინავია, მივიწყებული ევროპიელებთაგან, პირველად გააცნო მათ ბრანდესმა. იბსენი და ნიჩე, რომელთა სახელი ეხლა გესმით მწერლობაში, ბრანდესის ნაპოვნი და გამოქვეყნებულნი არიან.

გ. ბრანდესი ჰკიცხავს თავის თანამემამულეებს იმ გულ-გრილობისათვის, რომელიც გამეფდა საშუალო საუკუნეებში დანიაში. დანიამ დაჰკარგა თავისი გამოჩენილი პოლიტიკური გავლენა, აყვავებული კულტურა დაუჰკნდა, პატივისცემა ევროპაში მოაკლდა. 1870 წ. დაიბეჭდა ისტორია დანიისა, რომელსაც უძღვნა წერილი ერთმა ფრანგულმა ჟურნალმა. რეცენზენტი ამბობდა, რომ დანიის ისტორია ღირსია წაკითხვისა, რადგანაც ერი, დიდია თუ პატარა, უნდა შესწავლული იყოს იმ აზრით, რომ გადაიწყდეს, როგორი პოლიტიკა არ არის ღირს მოსაქმედი. ჩვენ ვხედავთო, ამბობდა რეცენზენტი, რომ არა ნაკლებად დაჯილდოებული ერი პოლიტიკურის გარემოების წყალობით სულ ქვეით და ქვეით იწევს და შემდეგ წარსულ დიდებისა იჭერს მეშვიდე ადგილს ევროპაში. მე-XVII საუკუნიდგან იწყება დანიის დაცემა და მესამოც წლებში ამ საუკუნისა გერმანიამ ხომ სრულიად გაანადგურა. ამ პოლიტიკურ დაცემას მოჰყვა ერის მატერიალურადაც გაღარიბება. 1878 წ. პარიზის მსოფლიო გამოფენაზედ დანიის მონაწილეობა იმდენად ღარიბი იყო, რომ საფრანგეთში ხმა-მაღლივ წარმოსთქვეს: le Danemark s'efface; ესე იგი დანია ჰქრებაო. სამწუხაროდ ამ სიტყვებში ბევრი სიმართლე იყო ჩაწნული, რომ რაიმე ყოფილიყო მის წინააღმდეგ აღძრული.

ევროპამ მიაქცია ყურადღება სკანდინავიას, მაგრამ ეს ყურადღება გამოიწვია ნორვეგიელების ლიტერატურამ და არა დანიამ. იბსენი, მწერალი ნორვეგიისა, ჰქუხს ევროპაში, დანიას მწერლობის სახელი-კი მხოლოდ სამშობლოში იციან. ნორვეგიელებმა შეიგნეს, როგორ გაეცნონ ევროპიელებს, დანიელები ჯერ არ მიმხვდარან.

მიზეზს ამ გვარ სამწუხარო მდგომარეობისას ბრანდესი ეძებს ერის დაწვრილმანებაში, ხასიათის შეცვლაში და იმედის უარყოფაში. დანიაში დამყარდა მოხუცთა მეფობა, მოხუცთა წლოვანობით-კი არა, აზროვნობით, გარჯილობით. მწერლები თავიანთის კალმით სიმართლეს არ ემსახურებიან, თაყვანს სცემენ მას, რასაც გუშინ ფეხ ქვეშ ჰქელავდნენ. იმ დროს როცა ნორვეგიაში ნაციონალური გრძნობა უფრო მაგრა იდგავს ფესვებს, დანიაში ამავე გრძნობას უქრის წინააღმდეგი ქარი. დანიის გაღვიძებას ვერაფერი სარგებლობა მოუტანა იმ წრემაც, რომელიც ხშირად უადგილოდ გაიძახოდა „გაუმარჯოს დანიასო.“ ამ გვარნი კაცნი დათხოვნილ იყვნენ სამსახურიდგან და ის გავლენაც მოაკლდათ, რომელიც მათ თავიანთის ადგილის წყალობით ჰქონდათ დანიის ერზედ. მავნებელნი იყვნენ ისინიც, რომელნიც კოსმოპოლიტიზმს ესე იგი კაცობრიობის მოქალაქეობას ეძებდნენ და ნაციონალურ გრძნობას უარყოფდნენ. კოსმოპოლიტიზმი უნაციონალურ ნიადაგზედ ყოვლად შეუფერებელი და ბუნების წინააღმდეგია. როცა დანიაში განმტკიცდება ნაციონალური გრძნობა, მაშინ ევროპაც მოგვაქცევს ყურადღებასაო. თავდაპირველად დავიცვათ ჩვენი ენა და კულტურა და მაშინ სხვებიც პატივის ცემით შემოგვხედავენ ვეცადოთ ჩვენი წარსული გავაცნოთ ევროპას და ჩვენი მწერლები უცხო ენაზედ გადათარგმნილი მივაწოდოთ. დანიის პრინცი ჰამლეტი ეხლა რომ ისევ პრინცი ყოფილიყო, მაშინ იგი სულ სხვა მაგალითს გვიჩვენებდა. იგი გახდებოდა არა მხოლოდ მსახიობთა მფარველი, არამედ მხატვრობას მიაქცევდა ყურადღებას და ხელოვნებას მატერიალურად დაიცავდაო.

ესრედ წოდებული ჩვენი არისტოკრატიაო განსაკუთრებით ყიდულობს უცხოელების სურათებს და წიგნებს დააკლებს შემწეობას თავისს მამულს. მაინც-და-მაინც დიდი იმედი არისტოკრატიისა ნუ გვექნებაო. სასოებას-კი ნუ დავკარგავთ, რომ ჩვენი მდგომარეობა შეიცვლებაო. დანიამ თავისი ნიჭი კიდეც გამოიჩინა: ანდერსენს იცნობს ევროპა, კირკეპორს**) თუმცა ვერ კითხულობენ ენის უცოდინარობის გამო, მაგრამ მისი სახელი გაგონილი მაინც აქვთო. თავისუფალ მოაზრეთა სტუდენტობას ეკუთვნის სამის საგნის განხორციელება, რომელნიც სამაგალითონი არიან მთელს ევროპაში: სახალხო უმაღლესი სასწავლებელი, კანონიერი დახმარება და მუშათა შორის წერა-კითხვის გავრცელება. ამითი თავისუფალ მოაზრეთა სტუდენტობამ გაითქვა საისტორიო სახელი და ჩაუნერგა დანიას მომავალის იმედიო.

ა. ხახანაშვილი

ქ. მიუნხენი.

*) Georg Brandes. Nationalgefühl. Köln. 1894.

**) იხ. რუსულად გადმოთარგმნილ ბრანდესის წიგნში: Литературное движенiе въ Европѣ въ XIX в. ჩვენ როდისმე გავაცნობთ მკითხველებს ამ წიგნის შინაარსს.

## ავადმყოფობა და უექიმობა გურიაში

გუშინდელ „ივერია“-ში მკითხველი შეხვდებოდა გურიიდგან მოწერილს ამბავს იმის შესახებ, თუ რა გაჭირვებაშია ჩავარდნილი თითქმის მთელი გურია სხვა-და-სხვა ავადმყოფობის გამო. ამ გვარივე, მაგრამ უფრო ვრცელი წერილი იყო დაბეჭდილი „ივერიის“ მე-129 №-ში და წინადაც.

„ივერია“ ყოველთვის ჰბეჭდავდა ასეთს ამბებს იმ იმედით, რომ ის, ვისიც რიგია, ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდა ამ გარემოებას და გაჭირვებულს ხალხს შემწეობას აღმოუჩენდა; მაგრამ, როგორცა სჩანს, გაზეთის იმედი გაცრუებულა და, სამწუხაროდ, ავადმყოფობის გაძლიერებისადა გვარად, ყურადღება, შემწეობა და ნუგეში დასუსტებულა, მოკლებულა!

არ შეგვიძლიან გულ-მტკივნეულად არ აღვნიშნოთ ეს გარემოება და არ აღვიაროთ, რომ ბ-ნ დავიდიანცის ქცევა, თუ მართლად, ჭეშმარიტად და ნამდვილადა აქვს „ივერიის“ კორესპონდენტს აღნიშნული, არამც თუ არ შეეფერება განათლებულს; — ექიმს ასეთი ქცევა, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს კერძო ანგარიშებისა და გარემოების დავიწყება და თავის დროზედ, დაუყოვნებლივ ავადმყოფის შველა, იმისს უკიდურესს გულ-ცივობას ჰნიშნავს...

ბ-ნი დავიდიანცი კარგად უნდა იყოს მიმხვდარი, რომ გზა-ტკეცილის და ეტლის სრულიად მქონე ორის, სამის და, თუ გინდა, ათის ვერსის მანძილზედ გასამგზავრებლად, მაშინ, როდესაც სნეული და დავრდომილი, უექიმობის გამო, უეტლო-უგზა-ტკეცილოდაც მამა-პაპათ სავანესაკენ ემგზავრება, ახირებული მოთხოვნილებაა.

თუ იმას ჰბრძანებს, რომ იგი ან იმდენად განებივრებულია და ან სნეული, რომ დიდი თავის მორიდება და სიფრთხილე სჭირდება მოგზაურობის დროს, — მაშინ, ჩვენის აზრით, მკურნალის მოვალეობის-კი არ უნდა ასრულებდეს არამედ თითონ უნდა მოიწვიოს ექიმი და წამლობა დაუწყოს თავის თავს.

შეიძლება ვინმემ იუცხოვოს ეს ამბავი და იფიქროს, რომ თუ-კი მართლა ასეთს გაჭირებაში არის შთავარდნილი გურია და ექიმიც თავის მოვალეობას გადასდგომია, რატომ თვით ხალხი რაიმე ღონეს არ მიიღებს და სხვა ექიმს არ მოუწოდებსო?

ამის პასუხსაც ძალიან გარკვევით ამოიკითხავს იგივე მკითხველი გუშინდელს წერილში და „ივერიის“ 129 №-ში: საერთო მოუსავლობა, ხალხის გაჭირვება და შიმშილი, ქონებრივი ხელ-მოკლეობა, სხვა-და-სხვა სნეულებასთან შეერთებული, სრულიად უსპობს გურიის მკვიდრთ ღონის ძიებას თვის ხარჯით სხვა ექიმი მოიწვიოს.

მაგრამ ჩვენ უფრო ის გვაოცებს, რომ ადგილობრივი მაზრის უფროსი ბ-ნი ალშიბაია, რომელიც ყოველთვის და ყოველგან დიდს მხნეობას და თანაგძნობას იჩენს ხოლმე ამ გვარ შემთხვევაში, რატომ არაფერს იღონებს? იმას ასეთი გაჭირვებულ მდგომარეობა მაზრისა სრულს უფლებას აძლევს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა შემწეობა აღმოუჩინოს გაჭირვებულს ხალხს და ერთი ექიმი კიდევ მიეშველოს; მით უმეტესს, რომ ბ-ნი დავიდიანცი, კი-

---

გინდარა გლახათა და პოლიციის საქციელით, უამბო ეს ამბავი პარლამენტის ორს წევრს. ესენი შეეკითხნენ შინაგან საქმეთა მინისტრს, ეს რა ამბავიაო. მინისტრმა მოსთხოვა პასუხი პოლიციის შეფს. ამ ანგარიშით თითქო ისე გამოდიოდა, რომ ვითომ პოლიციამ მაშინვე ღონის-ძიება მიიღო იმ მცირეოდენის ინციდენტის მოსასპობლად და აი პასუხად ეს აუწყა იმ ორს წევრს მინისტრმა ასკვიტმა. ევროპიულის წესით რომ ვიანგარიშოთ, გათავდა ვითომ კიდეც საქმე—პოლიციამ პასუხი აგო და თავის მართლებაც დაიწყო. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა იმ მანდილოსანმა Liliam W-მ მკითხა ორის დღის შემდეგ: „წაიკითხეთ პასუხი მინისტრისა მაშინდელ შეკითხვის გამო?—დიაღ, წავიკითხე-მეთქი“.—„საშინელებაა! იმის აზრით, ისე გამოდის, რომ ვითომ მე ტყუილი მეთქვას! მივსწერე კიდეც ასკვიტს. იმას ნება არა აქვს შეურაცხჰყოს დედაკაცი და ისე წარმოადგინოს საქმე, ვითომ ჩემი ლაპარაკი ტყუილი აღმოჩნდა“... მერე როგორ გგონიათ, მკითხველო? ქ-ნმა W-მ არ მოისვენა, ვიდრე მინისტრმა ბოდიში არ მოიხადა პარლამენტის იმ ორს წევრთან და არ უთხრა, რომ მე აზრადაც არ მომსვლია მეფიქრა, ვითომ ინგლისელს ქალს, ისიც განათლებულს, შეეძლოს ტყუილის თქმა.

ამ წლის ნახევრის წინად, ერთი მორიგი პოლისმენი შევიდა თურმე დუქანში, საიდამაც მოესმა ხმა, მიშველეთო. შევიდა თუ არა, ხმაც შესწყდა. სწორედ ამ დროს გაიარა იმ დუქნის წინ მორიგმა ინსპექტორმა და შეეფეთა დუქნიდამ მომავალს პოლისმენს. თუმცა პოლისმენმა უამბო, რომ ყვირილი იყო დუქანში, იძახდნენ გვიშველეთო, მაინც ინსპექტორმა მოახსენა მთავრობას, დუქანში იყო სასმელადაო. რამდენისამე ხნის შემდეგ პოლისმენს საყვედური გამოუცხადეს და ეს საყვედური გაზეთში დაჰბეჭდეს. მეორე დღეს მისი დამრჩვალი გვამი ტემზაში იპოვნეს, ხოლო სახლში-ღა ასეთი ბარათი დაეტოვებინა: რაკი თავ-ლაფი დამასხეს და გამამტყუნეს, ტყუილი გითქვამსო, ისევ იმას ვამჯობინებ, რომ გამოვესალმო წუთისოფელსაო. გაზეთებმა ერთი ალიაქოთი ასტეხეს ამაზედ, თხოულობდნენ ინსპექტორის დათხოვნას და ამტკიცებდნენ, რომ ინგლისელის სიმართლეზედ არავის შეუძლიან ეჭვი აიღოს, თუ თვალ-საჩინო, ნიშნობლივი საბუთები არ უჭირავს ხელშიო.

ასეთია საჩქაროდ და მოკლედ მოჰრით დასურათებული ვითარება საშინაო და საზოგადოებურ აღზრდა-განათლებისა ინგლისში. სკოლა, თავისუფალი ცენტრალიზაციით გამსჭვალულ რეგლამენტაციისაგან, ზრდის ისეთს კაცებს, როგორსაც თხოულობს ქვეყანა და საზოგადოება, როგორიც შეეფერება საზოგადოებურ ცხოვრების წეს-წყობილებას, აგებულებას. ამით მე ის არ მინდა ვსთქვა, რომ სკოლა და აღსრდა-განათლების საქმე ინგლისში სრულიად შეეფერ-შეეწონება ახალის პედაგოგიის მოთხოვნილებას. სრულებითაც არა. როგორც ყველგან, აქაც ხასიათები მოქალაქესი, მამულის-შვილისა და დედისა შემუშავდება ხოლმე არა მარტო სასკოლო აღზრდის ზედ-მოქმედებით, არამედ სახელმწიფო, საეკონომიო და საზოგადო ვითარების ერთობლივ ზედ—მოქმედებით. მაგრამ არსად, გარდა შეერთებულ შტატებისა—გარდა ამ სადემოკრატიო ინგლისისა—სკოლა ისე ყურს არ უგდებს საზოგადოების მოთხოვნილებას, არსად საზოგადოების ზედ-მოქმედება აღზრდა-განათლების საქმეზედ ისე თვალსაჩინოდ არ სჩანს, როგორც აქ.

მაღალის კულტურისა და საშინაო და საზოგადოებურ ცხოვრების ზემოხსენებულ ვითარების წყალობით, აგრეთვე იმ გარემოების მეოხებით, რომ ინგლისში მეფობს სურვილი განუვითარდეს მოზარდს თაობას დამოუკიდებლობა ფიქრ-აზრისა, უნარი გარჯა-მხნეობისა ისევე დაუმოკიდებლად, დიაღ, აი ყოველ ამაების წყალობით არის, რომ ინგლისში ასე მრავლად ვხედავთ შესანიშნავ მწერალთ მანდილოსნთა შორის, შესანიშნავ მსწავლულთა და მასწავლებელთ, ისე დედათა შორის, რომელნიც ან სულ სკოლის გარეშე აღზრდილან, ან არა და—მიუღიათ განათლება მხოლოდ შუათანა სასწავლებელში.

„სკოლაში სრულებით არა ვყოფილვარო, ამბობს Mrs ლინტლინპტონი („Tempe Bar Magazin“ № 7, 1894 წლ.); არას დროს არ მყოლია მასწავლებელნი და აღმზრდელნი ქალნი; ყოველივე, რაც ვიცი, შევიძინე დამოუკიდებელის შრომითა და ფიქრ-მსჯელობით... ენების სწავლა მიყვარდა მუდამ. არ შემიძლიან სრულიად თავისუფლად წერა და ლაპარაკი, მაგრამ ვკითხულობ-კი და კარგადაც მეყურება ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანიური, ბერძნული, ლათინური ძცოტათი ებრაულიც“.... მაგრამ მეტყვიან, რომ ეგ არაფერს ამტკიცებს, Mrs ლინპნ-ლინტონი განსაკუთრებულის ნიჭის ქალია, მთელს ევროპაში სახელ-განთქმულიო, თითო-ოროლა მაგალითი რომ საერთო წესი არ არისო. მართალია. მაშ, აჰა, აი იხილეთ არა ერთი და ორი, არამედ თუნდა ათი და ოცი შესანიშნავი გასათხოვარი და ყმაწვილი ქალი მათ შორის, ვისაც მე ვიცნობ პირადად, ხოლო მე ვიცნობ ძალიან ცოტას, მაგრამ მათ შორისაც ბევრია ჭეშმარიტად შესამჩნევი. ვნახოთ, აბა, როგორ განათლდნენ და განვითარდნენ ისინი, ან რას აკეთებენ ამ ჟამად ავიღოთ თუნდა Miss Majrory Wardrop-ი, მერე ისე ძრიელ უყვარს ამ ქალს თქვენი ქვეყანა, ისე ეხალისება ყოველივე, შესახები თქვენის მწერლობისა და ლიტერატურისა!

W. Vaziani

დეც რომ აღასრულებდეს თავისს მოვალეობას, მაინც საერთო ავად-მყოფობის დროს თითოეულის დავრდომილის მოვლასა და ექიმობას ვერ მისწვდება... დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ჩვენს სამართლიანს იმედს გურიის მაზრის უფროსი გაგვიმართლებს და ჯერ-ჯერობით-კი ვისურვებთ, რომ ახლა მაინც მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება იმან, ვისს პირდაპირ მოვალეობასაც შეადგენს ამისათვის ზრუნვა; ვისურვებთ, რომ ჩვენგან მიღებული ამბავი ბ-ნ დავითიანცისა და საერთო გურიაში მოდებულ ავად-მყოფობის შესახებ, მართალი არ გამოდგეს.

მენავე

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

აი რასა სწერენ უცხოეთის გაზეთები საფრანგეთის რესპუბლიკის ახალის პრეზიდენტის კაზიმირ პერიეს ეპისტოლეს შესახებ.

**„Journal des Débats“-ი:**

კაზიმირ პერიემ, ვითარცა მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტმა, თავისი მოვალეობა მოიხადა და ეხლა უკვე თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მას ჭეშმარიტად კარგად სცოდნია თავისი მოვალეობა და შეიძლებს კიდეც იმის აღსრულებას. იგი საქებია იმ სთვისაც, რომ განაცხადა. შვიდის წლის შემდეგ აღარ ვისურვებ პრეზიდენტობასაო.

**„Figaro“:**

პრეზიდენტის ეპისტოლე მოკლეა, ნათელი, შინაარსიანი. ყველანი მიაქცევენ ყურადღებას პრეზიდენტის სიტყვებს, რომ ჩემის უფლების უარ-ყოფისა და შემცირების ნებას არავის მივცემო. ესუფლებანი ჩვენ ხშირად აღგვინიშნავს, მაგრამ ვერც გრევიმ და ვერც კარნომ ვერ გამოიყენეს იგი და ამის გამო ისე ადვილი არ არის იმათი მოხმარება ამ ჟამადაო.

**„Libre Parole“-ი:**

კაზიმირ პერიეს პაპა ამბობდა ხოლმე: „ორლეანელთა ხელმწიფობა საუკეთესო რესპუბლიკააო“, იმის შვილის-შვილს შეუძლიან ლუი-ფილიპპეს შესანიშნავის მინისტრის ეს სიტყვები გადაასხვაფეროს და ასე სთქვას: „ორლეანელთა რესპუბლიკა საუკეთესო მონარქიააო“.

ბისმარკის გაზეთისა **„Hamdurger Machrichten“-ი:**

ყოველ შემთხვევაში დიდ-მნიშვნელოვანად ნუ ჩასთვლით ბ-ნ კაზიმირ პერიეს სიტყვებს იმის შესახებ, რომ გერმანიის იმპერატორის წყალობამ დიდად იმოქმედა ფრანგებზედაო.., პარიზელებს რომ შემთხვევა მივცეთ და დაიწყონ ძახილი: „vive l'empereeur!“-ო, როდესაც გერმანიის იმპერატორს დაინახავენ, მაშინაც ძნელად წარმოსადგენია, რომ ელზას-ლოტარინგიის დაბრუნებისაგან უარი სთქვას საფრანგეთმაო.

---

## მცირე შენიშვნა.

(მაზრის-უფროსთა საყურადღებოდ)

საზოგადოდ გლეხთა და კერძოდ ჩვენებურ სოფლის ხალხის ეკონომიურ, დაქვეითების ერთი უმთავრესი მიზეზია სოფლის წვრილ ჩარჩვაჭრების აღვირ-აშვებული ხრიკები და ოინები. ეს გარემოება კარგა ხანია მწერლობამაც აღნიშნა და მთავრობამაც დაინახა. დღესაც—შეხვედებით არა ერთსა და ორ წერილს გაზეთებში ამავე საგნის შესახებ. კორესპონდენტები ჩივიან: სოფლის ჩარჩებმა—ვაჭრებმა გააწყალეს სოფელი, უშიშრად ჰნავარდობენ და სოფლის ავლა-დიდებას უფასოდ ჰხვეტავენო... თვით სუქდებიან და ხალხი კი დღედა დღე ღარიბდება—უკიდურესს ყოფაში ვარდება და აუარებელი ვალი ედებაო. დიაღ დიდი ვარამია დღეს სოფლისათვის წვრილი სოფლის ვაჭარი, განუსაზღვრელი ჭირია სოფელში გაქნილი და სვინდისზე ხელ აღებული ჩარჩი. დღეს რომ ორი გროში აბადია ვაჭარს ხვალ შეჰხედავ, უკვე თავის მცირე თანხას აფართოვებს, აძლიერებს. ისა მდიდრდება სოფელი ნიორწყალდება. სოფელში გუშინდელი მოსული, ვსთქვათ, „ყლაპანა“ დღეს „ალ ა“ სოფლისა, თითქმის მთელი სოფელი იმის მოვალეა, საუკეთესო ვენახი, თუ სხვა მამული, „ალას“ ხელშია.

აი ამ ჭირს უნდა მოევლოს როგორმე, ამ სატკივარს სოფლისას უნდა დაედოს წამალი. ყველა უნდა ეცადოს ამის და უმეტესად მოვალეა ყურადღება მიაქციოს სოფელს მაზრის უფროსმა. მაზრის უფროსს თავის მაზრაში ბევრი რამ სიკეთე შეუძლიან დასთესოს, თუ არ დაიზარებს და მაზრას მამობას და არა მამინაცვლობას გაუწევს. დღეს მაზრის უფროსთ ისეთი შემთხვევა აქვთ ხელში, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეუძლიანთ აჰლგაონ სოფლად ყველა სოფლის მწოველი წურბელა და განდევნონ სამუდამოდ სოფლიდამ სოფლის მწველავი ჩარჩები.

წარსულის წლის 8-ს ივნისს უმაღლესად დამტკიცდა ახალი დებულება შესახებ სასმელების ყიდვისა ამ დებულების თანახმად შარშანვე 21-ს დეკემბრიდამ ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა ყველა მაზრის უფროსს მისწერა, რომ ამ წლის 1-ს ივლისისთვის მაცნობეთ თქვენი აზრი ამ დებულების შესახებაო, ამასთანავე იგივე მიწერილება მაზრის უფროსებს ავალებს, გამოიკვლიეთ სოფლად ვაჭრობის ავკარგიანობა და ყოველივე დაწვრილებით მაცნობეთო; ყოველ ამის გარეშე მაზრის უფროსებმა უნდა წარუდგინონ სია იმ ვაჭართა, რომელნიც სოფლისა და მაზრისთვის მავნებელნი არიან; ეს სია იმიტომ არის საჭირო, როგორც ზემოხსენებულს მოწერილობიდამაც სჩანს, რომ ამ სიაში მოქცეულს ვაჭრებს ერთხელ და სამუდამოდ აეკრძალოთ ვაჭრობა.

ვიმეორებთ, დღეს მაზრის უფროსების პასუხზეა დამოკიდებული: ეღირსება სოფელი ვაჭარ-ჩარჩებისაგან განთავისუფლებას თუ არა? ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ამ ფრიად სასარგებლოსა და საყურადღებო საგანს ჩვენი მაზრის უფროსები ჯეროვანის გულდადებით გამოიკვლევდენ და სოფლისათვის სასარგებლოდ და საკეთილ-დღეო მიმართულებას მისცემდენ. მაზრის უფროსთ ნახევარ წელიწადი დრო ჰქონდათ ამ საგნის ჯეროვანად გამოკვლევისათვის და ან განა უამისოდ-კი არ უწყიან სოფლის ვაჭარ-ჩარჩების უსვინდისო საქციელი? აგერ პირველი ივლისი დადგა უეჭველია ყველა მაზრის უფროსი თავის აზრს და გამოკვლევას წარუდგენდა ბ-ნ გუბერნატორს მაშ მოვიცადოთ და ვნახოთ, რა გამოვა რისაგან.

ი. კახელი

28-ს ივლისს.

---

პეტერბურგის ბირჟა, 1 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,44}$ | $7_{,47}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 148¼ | 149¼ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — „ | — „ |
| 5% პირველის. შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 242 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 226 |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | 190¼ | — „ | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — „ | 102 | — „ |
| 5% . . . . . | — „ | — „ | 100⅛ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — „ | 102 | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | — „ | 101 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 99½ |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ც. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

ნიკელის

თმის სალებავი
პ. გენესი.
ქ. ვენაში.
უვნებელი წამალი სწრაფად შესაღებად თმისა და წვერისა შავად, ქერად და წაბლის-ფერად. ფლაკონი ღირს 3 მანეთი.
უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის
В. АУРИХЪ,
С.-Петербургъ,
Колокольная 18.
(8—7)

---

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—23)

---

სავაჭრო სახლი
## მ. თ. და ი. მანდლისა

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან მიჰყიდა თავისი მაღაზია, რომელიც იყო ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზედ, ქ-ნი მირიმანოვის სახლებში სტეფანე როსტომის ძეს დოვლათოვს, რომელიც ეხლა თითონ განაგებს ამ მაღაზიას, თავისის ფირმით და თავისის საკუთარის ხარჯით 1894 წლის 1 ივნისიდგან.

---

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—1297—1)

---

## დედა-ენა

დაიბეჭდა მეათედ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ და ისყიდება მისს მაღაზიიში ყდაში დაკაზმული ორ-აბაზად. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს, ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობათ ექვსს შაურად და ორ კაპეიკად-32 კაპ. უყდოთ ეს წიგნი აღარ იყიდება. ტექსტი წიგნისა უცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ ანბანის ბოლოში ჩამატებულია პატარა ლოცვები ღვთის-მშობლის და მაცხოვრის სურათებითა და გადიდებულია ხუცური განყოფილება, რომელიც შეიცავს ხუცურს ანბანსა, ხუცურს სიტყვებსა სრულად და ქარაგმით, ფსალმუნებსა ხუცური და მხედრული ასოებით, ზნეობრივს ადგილებსა დაბადებიდგან და იგავებს მაცხოვრისას ორივე შრიფტით და ბოლოს ფსალმუნებს მარტო ხუცურის ასოებით. დედანიც შევსებულია წვრილი ხელით, რომელიც წინედ აკლდა. საზოგადოდ ეს მეათე გამოცემა წინანდელებს აღემატება თექვსმეტი გვერდით, ფასი-კი წინანდელია დარჩენილი იმ განსხვავებით, რომ მყიდველებს ეთმობათ წიგნზედ რვა კაპეიკი წინანდელის შვიდის კაპეიკის მაგივრად. (10—7)


Дозволено цензурою Тифлисъ, 2-го Іюля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.